ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1009667

ნომერი: AR1178532

თარიღი : 19.11.2013

გაცემის თარიღი : 22.11.2013

გაცნობის თარიღი : 26.11.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის მასივი , ბაზართან არსებული უნივერსამის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი რაზმაძე პ/ნ 01003015668
- მუხიანის დას 2 მიკ კორპ 1 ბ 178

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ქ. თბილისის 2008 წლის 22 დეკემბრის #24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ფ" ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, "დ" ქვეპუნქტით სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს უზრუნველყოს ქალაქის ცალკეულ ტერიტორიათა კეთილმოწყობის, გარე გაფორმების ელემენტების (მთ შორის მონუმენტურ-დეკორატიული) მცირე არქიტექტურის ფორმების, ძეგლების, ქანდაკებების, "გარე რეკლამის გავრცელების რეგულირების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის #4-32 გადაწყვეტილებით დადგენილი გარე რეკლამის მხატვრული იერსახის და განვითარების განხილვა-შეთანხმება, მათი განხორციელება; იმავე პუნქტის "ე" ქვეპუნქტით სამსახურს უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

სამსახურის უფლებამოსილებიდან გამომდინარე (გადასინჯოს წარმოდგენილი საპროექტო ობიექტების ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე) გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს თქვენ მიერ ატვირთული ფოტომონტაჟის შესაბამისად სარეკლამო ბანერების განთავსება მიზანშეწონილად არ მიაჩნია. ღობეზე გაკრული ბანერი საკმაოდ ფართო მასშტაბიანი და ამასთანავე გადატვირთულია სხვადასხვა სახის სიმბოლიკებით (ნახატებით), რაც მიუღებელია. ასევე არსებულ გარემოს კიდევ უფრო მეტად ტვირთავს საჩრდილობელი, მასზე სარეკლამო წარწერებით (თუმცა საჩრდილობლის მოწყობის შესახებ ინფორმაცია მოთხოვნის ტექსტში არ არის მითითებული). შემუშავებულ იქნას ბანერების და საჩრდილობლის განთავსების სხვა ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც არ იქნება ამოვარდნილი არსებული განაშენიანებიდან. აღნიშნულის შესაბამისად უნდა წარმოადგინოთ განახლებული ფოტომონტაჟი, დეტალურად მასალისა და ზომების დატანით, რამოდენიმე ხედის ფიქსაციით.

ამასთანავე გაცნობებთ:

1. გაურკვეველია საპროექტო არეალის, სარეკონსტრუქციო ჯიხურისა და ღობის ზუსტი ადგილმდებარეობა. გამომდინარე აქედან "ფაილის მიმაგრება" გრაფაში უნდა ატვირთოთ საკადასტრო გეგმა, მასზე საპროექტო ტერიტორიის, სარეკონსტრუქციო ჯიხურისა და ღობის მონიშვნით. აქვე გაითვალისწინეთ, რომ #2 შენობა–ნაგებობა უნებართვოდ არის მოწყობილი (თანახმად ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან), ასევე საკადასტრო გეგმაზე არ ფიქსირდება ჯიხური. გაითვალისწინეთ უნებართვო ობიექტებზე რაიმე სახის რეკონსტრუქციის განხორციელება, მათ შორის აბრებისა და საჩრდილობლის მოწყობა დაუშვებელია.

2. "მოთხოვნის ტექსტი"–ს გრაფაში განიმარტოს ის გარემოება, რომ სარეკლამო აბრებთან ერთად იგეგმება საჩრდილობლის მოწყობაც. აქვე იქნას მითითებული ინფორმაცია საჩრდილობლის კონსტრუქციული ნაწილის შესახებ (განიმარტოს რას უნდა დაეყრდნოს საჩრდილობელი და რა სახით უნდა იქნას იგი განთავსებული) და ის გარემოება თუ ვის საკუთრებაში ირიცხება ის ღობე, რომელზედაც იგეგმება ბანერის გაკვრა (თუ ღობე მომიჯნავე ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებშია მოქცეული, ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა აღნიშნული ღობის მესაკუთრის თანხმობა, მასზე ბანერის განთავსებასთან დაკავშირებით); რაც შეეხება ნომენკალტურას, თქვენს მიერ შერჩეულ ნომენკლატურასთან ერთად ("აბრებისა და რეკლამების განთავსება" – "ქმედებები "ახალი მშენებლობა"), დამატებით უნდა აირჩიოთ: "I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები" – "საჩრდილობლის მოწყობა" – ქმედებები "რეკონსტრუქცია". ამისათვის გეძლევათ ნომენკალტურის ცვლილების ღილაკით სარგებლობის უფლება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.